



საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის (2015-2016)
შესრულების შუალედური ანგარიში



სარჩევი

საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შემუშავება	2
ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტი საბჭო	5
საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულებების განხორციელების სამუშაო პროცესი	6
საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შესრულებული ვალდებულებები	8
საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შესასრულებელი ვალდებულებები	12

1. საქართველოს დია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შემუშავება

[საქართველოს დია პარლამენტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა](#) (შემდგომში: სამოქმედო გეგმა) შემუშავდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2015 წლის 12 თებერვლის [#19/3 ბრძანების](#) საფუძველზე შექმნილი ინტერფრაქციული ჯგუფისა და საქართველოს „დია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის“ წევრი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

სამოქმედო გეგმა დია მმართველობის პარტნიორობის (Open Government Partnership, OGP) ოთხ ძირითად პრინციპს ემყარება: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მოქალაქეთა ჩართულობა, ანგარიშვალდებულება, ტექნოლოგიები და ინოვაცია და 18 ვალდებულებას მოიცავს:

1.	მოქალაქეთა ჩართულობა
1.1.	კანონპროექტებზე კომენტარის (ელექტრონულად და/ან წერილობით) დატოვების შესაძლებლობა
1.2.	საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენის და მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმის დანერგვა პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით
1.3.	მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა საკანონმდებლო პროცესში
1.4.	ფიზიკური დასწრების უზრუნველყოფა
1.5.	დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის დასაბუთების ვალდებულების განსაზღვრა
1.6.	საზოგადოებრივი განათლებისა და ცნობიერების ამაღლება საქართველოს პარლამენტის საქმიანობაზე, მის როლსა და მისიაზე; პარლამენტის ინსტიტუციონალური იმიჯისა და როლის გაძლიერება
2.	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
2.1.	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საპარლამენტო ინფორმაციაზე წვდომის გამარტივება
2.2.	საპარლამენტო კომიტეტების წლიური ანგარიშებისა და დასკვნების პროაქტიული გამოქვეყნება

2.3.	კანონშემოქმედებით პროცესში კონსულტაციების ჩატარების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება და მიღება
2.4.	კანონპროექტის განხილვისას, პირველად ტექსტში შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვა და მათი დროული გამოქვეყნება საკანონმდებლო ორგანოს ვებგვერდზე
2.5.	პარლამენტის მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის განახლება
2.6.	განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება
3.	ტექნოლოგიები და ინოვაცია
3.1.	პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება
3.2.	ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვა; ახალგაზრდების, ეთნიკური უმცირესობებისა და სხვა ინტერეს-ჯგუფების საპარლამენტო საქმიანობაში ჩართულობის გაზრდა; საზოგადოებასთან ორმხრივი კომუნიკაციის გაძლიერება
4.	ანგარიშვალდებულება
4.1.	ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შექმნა
4.2.	საქართველოს პარლამენტის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზება
4.3.	„საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის“ შემუშავება და მიღება
4.4.	საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსის შემუშავება

სამოქმედო გეგმის 18 ვალდებულებიდან 2 ინიციატივის ავტორია საქართველოს პარლამენტი, ხოლო 16 ინიციატივა ეკუთვნის „საქართველოს ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის“ წევრ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

საქართველოს ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის წევრები იყვნენ: ევროკავშირი (EU), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, აშშ ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), ფონდი ღია საზოგადოება

საქართველო, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფორმა, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, ჯამხსტარტ ჯორჯია, ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი.

სამოქმედო გეგმის შემუშავება მოხდა გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ევროკავშირის (EU) პროგრამის - „საპარლამენტო დემოკრატიის სისტემის გაძლიერება საქართველოში“ - ფარგლებში.



საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიას საქართველოს პარლამენტის ინტერფრაქციულმა ჯგუფმა მხარი დაუჭირა 2015 წლის 10 ივლისს და გეგმა, საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომაზე 17 ივლისს დამტკიცდა.

2015 წ. 28-29 ოქტომბერს მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში გამართულ ღია მმართველობის პარტნიორობის გლობალურ სამიტზე საქართველოს პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფი გახდა ღია მმართველობის პარტნიორობის ჩემპიონთა ჯილდოს პირველი მფლობელი. ჯილდო ინტერფრაქციულ ჯგუფს სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში სამოქალაქო სექტორთან მჭიდრო და სამაგალითო თანამშრომლობის გამო გადაეცა.



2015 წლის 14-15 სექტემბერს საქართველოს პარლამენტში [გაიმართა](#) OGP-ის საკანონმდებლო დიალობის სამუშაო ჯგუფის კონფერენცია „დიალობის ვალდებულება: პარლამენტის სამოქმედო გეგმები, სტანდარტები და მეთოდები.“ კონფერენცია [გლობალური საკანონმდებლო დიალობის კვირეულის \(GLOW\)](#) ფარგლებში ჩატარდა და მას 32 ქვეყნის 120-მდე დელეგატი დაესწრო. საქართველოს პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფისა და საქართველოს ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის წევრებმა კონფერენციის მონაწილეებს გაუზიარეს საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა, ისაუბრეს მისი შემუშავების პროცესზე, საპარლამენტო გამჭვირვალობაზე და სხვა.

2. ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო

ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო (შემდგომში: საბჭო) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის [#195/3 ბრძანებით](#) 2015 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა და იგი [ინტერფრაქციულ](#) პრინციპს ემყარება. საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიზანია საპარლამენტო გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში საქართველოს პარლამენტის სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების მონიტორინგი.

ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს პირველი შეხვედრა 12 თებერვალს შედგა, დამტკიცდა საბჭოს [დებულება](#) და საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციის შემსრულებლად პარლამენტის წევრი გუგული მალრაძე განისაზღვრა.

საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში საბჭოს მხარს უჭერს [საკონსულტაციო ჯგუფი](#), რომელიც ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) თავმჯდომარეობით აერთიანებს 14 არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციას.



3. საქართველოს დია პარლამენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულებების განხორციელების სამუშაო პროცესი

სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში გაიმართა საბჭოსა და საკონსულტაციო ჯგუფის 5 ერთობლივი და არაერთი შიდა შეხვედრა, რომლებშიც ასევე ჩართული იყვნენ პარლამენტის აპარატის წარმომადგენლები.

შეხვედრებზე საკონსულტაციო ჯგუფის წევრებმა წარმოადგინეს მათი ინიციატივების კონცეფციები და იმსჯელეს ვალდებულებათა განხორციელების გზებზე. 4 თვიანი მუშაობის შედეგად შემუშავდა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტი, საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსის სამუშაო ვერსია და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის პროექტი.

რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტის მიზანია საქართველოს დია პარლამენტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შემდეგი რვა ვალდებულების განხორციელებისთვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა:

- ვალდებულება 1.1. - კანონპროექტებზე კომენტარის (ელექტრონულად და/ან წერილობით) დატოვების შესაძლებლობა;
- ვალდებულება 1.2. - საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენის და მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმის დანერგვა პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით;
- ვალდებულება 1.3. - საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის განხილვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების დახვეწა;
- ვალდებულება 1.5. - დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის დასაბუთების ვალდებულების განსაზღვრა;

- ვალდებულება 2.3. - კანონშემოქმედებით პროცესში კონსულტაციების ჩატარების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება და მიღება;
- ვალდებულება 2.4. - კანონპროექტის განხილვისას, პირველად ტექსტში შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვა და მათი დროული გამოქვეყნება საკანონმდებლო ორგანოს ვებგვერდზე;
- ვალდებულება 2.6. - განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება;
- ვალდებულება 3.1. - პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება.

4. საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შესრულებული ვალდებულებები

სამოქმედო გეგმის 18 ვალდებულებიდან შესრულებულია 2 ვალდებულება:

<p>1.6. საზოგადოებრივი განათლებისა და ცნობიერების ამაღლება საქართველოს პარლამენტის საქმიანობაზე, მის როლსა და მისიაზე; პარლამენტის ინსტიტუციონალური იმიჯისა და როლის გაძლიერება</p>	<p>ინიციატორი: საქართველოს პარლამენტის აპარატი</p>	<p>პრობლემის აღწერა: საქართველოს პარლამენტი, როგორც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, ქვეყნის დემოკრატიის ერთგვარ გარანტს წარმოადგენს. შესაბამისად, პარლამენტის საკომუნიკაციო სტრატეგია განსაზღვრავს იმ ძირითად ღირებულებებსა და პრინციპებს, რაც ხელს შეუწყობს ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ღია პარლამენტის ინსტიტუციონალიზაციას და ამავედროულად, უზრუნველყოფს პარლამენტის საქმიანობის, როლისა და მისიის შესახებ პროფესიული ინფორმაციის მიწოდებას და საზოგადოების მეტ ჩართულობას კანონშემოქმედებით პროცესში. სტრატეგია განსაზღვრავს, რომ ღიაობის და გამჭვირვალობის პრინციპების ინსტიტუციონალიზაცია, აქტიური მოქალაქეობრივი ჩართულობა, მოქალაქეებთან გახსნილი და გამჭვირვალე კომუნიკაცია საზოგადოების ნდობის მოპოვების და ორმხრივი კომუნიკაციის ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა, რისკენაც მიისწრაფვის საქართველოს პარლამენტი.</p>	<p>არსებული მდგომარეობა: საქართველოს პარლამენტის ვიზიტორთა პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სამოქალაქო ღონისძიებების დაგეგმვის განყოფილებამ უმასპინძლა ქ. ქუთაისში 150-მდე ჯგუფს, არასრული მონაცემებით 5233-ზე მეტ ვიზიტორს; ხოლო ქ. თბილისში 197 ჯგუფს, არასრული მონაცემებით 6580-ზე მეტ ვიზიტორს.</p> <p>განყოფილება აგრძელებს საქართველოს პარლამენტის კომიტეტების წევრებთან სტუდენტების შეხვედრების ორგანიზებას. შეხვედრები გაიმართა იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან (29/06/2015); განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტთან (28/09/2015); (2) ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან (21/10/2015); (3) რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტთან (23/10/2015); (4) იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან (04/11/2015); (5) აგრარულ საკითხთა კომიტეტთან (09/11/2015); (6) თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან (19/11/2015); (7) ჯანმრთელობის დაცვისა</p>
--	---	---	---

			<p>და სოციალურ საკითხთა კომიტეტთან (15/12/2015); შეხვედრები გაიმართა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან (22/12/2015); საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტთან (01/02/2016); სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტთან (10/02/2016); ასევე, განყოფილებამ ორგანიზება გაუწია/მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა საპარლამენტო და არასაპარლამენტო ღონისძიებებში, მათ შორის ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ ასამბლეებსა და მოდელირებულ პარლამენტებში, ასევე, ადგილობრივ და რეგიონალურ კონფერენციებსა და შეხვედრებში. სულ განყოფილებამ ორგანიზება გაუწია 47 ღონისძიებას/შეხვედრას (ქ. თბილისში - 26, ქ. ქუთაისში - 21). ღონისძიების ფარგლებში განყოფილებამ უმასპინძლა 4563-მდე სტუმარს.</p> <p>დეპარტამენტმა აქტიური და წამყვანი როლი შეასრულა საქართველოში საპარლამენტო არჩევნების ჩატარებიდან 25 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიების (7/12/2015) დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში. საიუბილეო თარიღის ფარგლებში (ა) ორგანიზებული იქნა ფოტოგამოფენა -</p>
--	--	--	--

			<p>„საპარლამენტო დემოკრატია საქართველოში (გახსნა: 24/11/2015), რომელიც ორი კვირის განმავლობაში გაგრძელდა და 1,124 სტუმარს უმასპინძლა; (ბ) დამზადდა ვიდეო-რგოლი, რომელშიც წარმოდგენილია 1990-2015 წლების ისტორიული მოვლენები და პერსონაჟები.</p> <p>„მაკულიტერატურის აქციის“ ფარგლებში, საქართველოს პარლამენტს სახელმწიფოს მზრუნველობაში მყოფი 120 აღსაზრდელი ესტუმრა, რომელთაც პარლამენტისგან საგანმანათლებლო, სამეცნიერო, საბავშვო და შემეცნებითი წიგნები გადაეცა საჩუქრად.</p> <p>დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმის 25 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში (ა) ორგანიზებული იქნა ფოტოგამოფენა - „რეფერენდუმიდან დამოუკიდებლობამდე“ და 1500-მდე სტუმარს უმასპინძლა; (ბ) ექსკურსიების დროს ნაჩვენები იყო ასევე საქართველოს ეროვნული არქივიდან მოპოვებული ვიდეო-რგოლი („საქართველოს მოამბე“, კინოალმანახი N4 , 1991 წლის აპრილი).</p>
<p>4.1. ღია და გამჭვირვალე მმართველობის</p>	<p>ინიციატორი: ინფორმაციის თავისუფლების</p>	<p>პრობლემის აღწერა: ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის საქართველოს პარლამენტის წევრებ- მა განაცხადეს თანხმობა, რომ საქართველოს</p>	<p>არსებული მდგომარეობა: 2015 წლის 18 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით - 76 მომხრე, არცერთი</p>

<p>მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შექმნა</p>	<p>განვითარების ინსტიტუტი (IDFI)</p>	<p>პარლამენტში დაარსდეს „ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საბჭო“, რომელიც უნდა შეიქმნას უკვე მოქმედი ინტერ-ფრაქციული ჯგუფის საფუძველზე და პრინციპებზე. კერძოდ, დაკომპლექტებული უნდა იყოს საქართველოს პარლამენტის წევრებით და „საკონსულტაციო საბჭოთი“. „საკონსულტაციო საბჭო“ დაკომპლექტებული იქნება სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებით. „ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საბჭოს“ უნდა ჰყავდეს ორი თანა- თავმჯდომარე, რომელთაგან ერთი იქნება საქართველოს პარლამენტის წევრი, ხოლო მეორე - სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი. ერთ-ერთი ფუნქცია, რომელსაც საბჭო განახორციელებს, იქნება „საპარლამენტო ღიაობის“ სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელების მონიტორინგი, მათ შორის, უკვე მიღებული „საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის“ შესრულების მონიტორინგი.</p>	<p>წინააღმდეგი - მიიღო ცვლილებები საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში, რომელიც ითვალისწინებდა ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საბჭოს შექმნას. აღნიშნული ცვლილებებით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას დაემატა „უ2“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად საპარლამენტო გამჭვირვალობის, სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ #195/3 ბრძანებით 2015 წლის 30 დეკემბერს შექმნა ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო.</p>
--	--------------------------------------	---	---

5. საქართველოს დია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შესასრულებელი ვალდებულებები

საქართველოს დია პარლამენტის სამოქმედო გეგმის 18 ვალდებულებიდან შესასრულებელია 16 ვალდებულება.

- 8 ვალდებულების განხორციელება მოითხოვს სამართლებრივ საფუძველს რეგლამენტში ცვლილებების შეტანის სახით (იხ. გვერდი 7). საბჭოსა და საკონსულტაციო ჯგუფის 5 ერთობლივი და არაერთი შიდა შეხვედრის შედეგად მომზადდა რეგლამენტის ცვლილებების პროექტი და მისი ინიცირება საბჭოს მიერ, სავარაუდოდ, პარლამენტის რიგგარეშე სესიების დაწყების შემდეგ მოხდება. აღნიშნული 8 ვალდებულებიდან გარკვეული ინიციატივებისთვის მომზადებულია შესაბამისი ელექტრონული პლატფორმა, რომლებიც ძალაში რეგლამენტში ცვლილებების მიღების შემდეგ შევა.
- ასევე, ვალდებულება 4.4. საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსის შემუშავებას - სჭირდება საბჭოს მიერ ინიცირება, რათა დოკუმენტის განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მოხდეს. ეთიკის კოდექსის სამუშაო ვერსიას ეცნობიან დეპუტატები და მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე მოხდება დოკუმენტის განხილვა და მიღება (სავარაუდოდ, 2016 წ. სექტემბრის რიგგარეშე სესიის პერიოდში).
- საქართველოს პარლამენტის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზება (4.2. ვალდებულება) - მოხდება სექტემბერში, ყოველწლიური გლობალური საკანონმდებლო კვირის (GLOW) ფარგლებში.
- მომზადებულია - ვალდებულება 4.3. „საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის“ შემუშავება და მიღება - საქართველოს პარლამენტის დადგენილების სამუშაო ვერსია, რომელიც წარდგენილია განსახილველად.
- მუშავდება თავმჯდომარის ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ დოკუმენტი - 2.5 პარლამენტის მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის განახლება - სავარაუდოდ, იგი ივლისის თვეში იქნება ხელმოწერილი.
- ხელმოწერილია თავმჯდომარის ბრძანება, რომლის საფუძველზეც მოხდება 1.4. ვალდებულების - ფიზიკური დასწრების უზრუნველყოფა - შესრულება. ფაქტიურად, აღნიშნული ინფორმაცია უკვე განთავსდა პარლამენტის ვებ-გვერდზე, და ფორმალურად აღნიშნული ვალდებულება შეიძლება შესრულებულად ჩათვლილიყო, მაგრამ საკონსულტაციო ჯგუფის რეკომენდაციით სასურველია მისი განთავსება უფრო პარლამენტის ვებგვერდის ადვილად მოსაძიებ და ხელმისაწვდომ ნაწილში.
- 2.1 ვალდებულების - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საპარლამენტო დოკუმენტაციაზე წვდომის გამარტივება - შესრულებასთან დაკავშირებით ჩატარებულია ტექნიკური სამუშაოების შეფასება და დასახულია

სათანადო გეგმა, საჭირო ადამიანური რესურსების გათვალისწინებით. ამჟამად დონორი ორგანიზაციებისაგან ველოდებით სათანადო კვლევის ჩატარება, რომლის შემოდგომაზე დასრულების შემთხვევაში, სავარაუდოდ, აღნიშნული სამუშაოები მოესწრება 2016 წლის ბოლომდე. ჯერჯერობით კი, მოხდა უსინათლო პირებისათვის კომპაქტ-დისკებზე დატანილი აუდიოწიგნის - „საქართველოს კონსტიტუცია“ შექმნა და განზრახულია მისი დარიგება აღნიშნული პირების კომპაქტური ჩასახლების ადგილებში, ასევე - მაჟორიტარების ბიუროების მიერ.

- 2.5. ვალდებულება - პარლამენტის მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის განახლება - სადეპუტატო შეკითხვები - ტექნიკურად შესრულებულია და იგი მომავალ თვეში გახდება საჯარო.
- დაწყებულია მუშაობა 3.2 ვალდებულების შესასრულებლად - ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვა; ახალგაზრდების, ეთნიკური უმცირესობებისა და სხვა ინტერეს-ჯგუფების საპარლამენტო საქმიანობაში ჩართულობის გაზრდა; საზოგადოებასთან ორმხრივი კომუნიკაციის გაძლიერება.

საქართველოს დია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შესრულება, ტექნიკური და სამართლებრივი უზრუნველყოფა, 2016 წლის ბოლომდე უნდა მოხდეს.